**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**

**ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**G E O R G I A**

**CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY**

---

ბრძანება:**№97. 97240501**

თარიღი:**19/02/2024**

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველად სტრუქტურულ ერთეულში (აპარატში) მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობაზე შიდა კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 31 -ე მუხლის 1-ლი პუნქტის, კონკურსის ჩატარების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N-412 დადგენილებით დამტკიცებული ,,საჯარო მოხელეტა კონკურსის ჩატარების წესის" მე-5 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-12 მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს შიდა კონკურსი ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველად სტრუქტურულ ერთეულში (აპარატში) მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ( საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი ) ვაკანტურ თანამდებობაზე.

2. თანამდებობრივი სარგო 1596 (ათას ხუთას ოთხმოცდათექვსმეტი ) ლარი.

3. კანდიდატის მიმართ წაყენებული მოთხოვნები:

ა) საჯარო სამსახურში მუშაობის მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილება;

ბ) ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;

გ) საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მინიმალური ცოდნა.;

დ) პროფესიული ცოდნის მოთხოვნები.

4. განცხადების წარსადგენად განისაზღვროს 10 დღიანი ვადა - 2024 წლის 19 თებერვლიდან 28 თებერვლის ჩათვლით. ელექტრონულ მისამართზე www.hr.gov.ge.

5. შესაბამისი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მისამართი: თამარ მეფის ქ. N-24. ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი